# ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

31 იანვარი- 12 თებერვალი 2014 წელი №2 № 8060 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.






## წარჩინებულ მოსწავლეებს მედლები გადაეცათ გვ2

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტებისათვის გვ2.



## სოფელ გორაკაში დამეწყრილი გზა აღდგა გვ2

## აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი

### ანუ სოციალური დახმარების გაცემის პროგრამა-წესი

გვ4.

პროგრამაში ორი მუხლით გათვალისწინებულია მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას განსაზღვრული სოციალური დახმარება

## გაიწმინდა ახალციხე - ცხაველი - გოსტიბის საავტომობილო გზა გვ2

## თევდორე მღვდლის მემორიალთან სკვერი მოეწყო გვ2



## უფასო გამოკვლევები

ია ქამხაძის კლინიკაში დაიწყო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი გვ5.



წინ საქართველოს პირველობაა გვ7.

## Dress Code

გვ7.

## ტრადიციული და დაუვიწყარი ერთად ყოფნის სიხარული გვ6.




განთიადი 80 წელი თქვენს გვერდით!

80 წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

# წარჩინებულ მოსწავლეებს მედლები გადაეცათ

17 იანვარს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მისმა მოადგილემ დალი დავითაშვილმა და კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა, ქალაქის №2 საჯარო სკოლაში 2012-2013 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, ოქროს და ვერცხლის მედლები გადასცეს.

წარმატებული სწავლისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ ზემო ხანდაკის საჯარო სკოლიდან ირინე გაბუნია და ოკამის საჯარო სკოლიდან მარიამ მეშველაშვილი.

ვერცხლის მედლები გადაეცათ: ხოვლის საჯარო სკოლიდან მარი ჯავახიშვილს, მეტეხის №1 საჯარო სკოლიდან ნატო ასლამაზაშვილს და ანა დავითაშვილს, ახალქალაქის სკოლიდან მარი ჯავრიშვილს, კასპის №2 საჯარო სკოლიდან ლია გალუსტაშვილს.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მედალოსნებს დამსახურებული წარმატება მიულოცა და საჩუქრად წიგნები გადასცა. გოჩა გოჩიტაშვილმა მილოცვაში გამოთქვა სურვილი, რომ ახალგაზრდები ჩვეული გულისხმიერებით გააგრძელებენ სწავლას და ქვეყანას, მშობლიურ კასპს ღირსეულად ემსახურებიან. ადგილობრივი ხელისუფლება კი შესაძლებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობს და დაეხმარება ახალგაზრდებს.

შეხვედრის დასასრულს გოჩა გოჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ -"მუნიციპალიტეტში შევქმნით წარმატებული ახალგაზრდების საინფორმაციო ბანკს, მოვიძიებთ მონაცემებს და სურვილის შემთხვევაში თითოეულ მათგანს მივცემთ მიღებული ცოდნის რეალიზაციის საშუალებას".



# საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტებისათვის



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 8 იანვრის, № 06 ბრძანების, "საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტებისათვის, რომლებიც ჩარიცხული არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის,დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013-2014 სასწავლო წლის სწავლის დაფინანსების მინიჭების შესახებ" თანახმად სულ დაფინანსდა 236 სტუდენტი. აქედან კასპის მუნიციპალიტეტში შემავალ, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებიდან 10 სტუდენტი.

სოფელი კოდისწყარო:
მარიამ ნადირაძე — 2250 ლარი;
კახაბერ დვალიძე — 2250 ლარი;
რევაზ დვალიძე — 2250 ლარი;
მაია ღვინაძე — 2250 ლარი;
სოფელი ზადიანთკარი:
მარიამ ჩიტიშვილი — 2250 ლარი;
ზურაბ მელაძე — 2250 ლარი;
სოფელი გორაკა:
ციური ჯავახი — 2250 ლარი;
სოფელი საკორინთლო:
გვანცა ტატულაშვილი — 2250 ლარი;
მარიამ ბულბულაშვილი — 2250 ლარი;
სოფელი ბოჟამი:
სოფიო მამასახლისი — 2250 ლარი.

# მეტეხის ბავშვთა სახლს

სოფელ მეტეხში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს, საახალწლო ნობათი გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, სამედიცინო დაწესებულება - შპს "მარიმედი"-ს მფლობელმა მამუკა ბერიძემ, ქალაქის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა სანდრო გზირიშვილმა და სოციალური მომსახურების სააგენტოს კასპის განყოფილების უფროსმა მარინა მეტრეველმა.



მეტეხის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლი 2 წელია ფუნქციონირებს. სახლი 8 ბავშვზეა გათვლილი და სახელმწიფო უზრუნველყოფს მათზე მზრუნველობას. საცხოვრებელ სახლს ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პირობა გააჩნია. ბავშვებს აქვთ კეთილმოწყობილი სასწავლო, სამეცადინო და საძინებელი ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა და ბიბლიოთეკა. სასწავლებლად ისინი სოფლის სკოლაში დადიან. ბავშვებს მზრუნველად დედობილი და მამობილი ლია და სოსო გეჯაძეები ჰყავთ. ისინი ჩვეულებრივად დღეც და ღამეც ბავშვებთან ერთად ცხოვრობენ.

ბავშვთა სახლს გახსნის დღიდან შეფობს და უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევს შპს "მარიმედი". ჩვენს ბავშვებს სამედიცინო მომსახურება უფასო აქვთ, ეს მამუკა ბერიძის დამსახურებაა, ბავშვებს ის ძალიან უყვართ, მისი სტუმრობა ყოველთვის სასიხარულოა. როგორც ხედავთ მამუკამ საახალწლოდაც გაახარა ბავშვები - აღნიშნა დედობილმა ლია გეჯაძემ. გოჩა გოჩიტაშვილმა ბავშვებს ახალი წელი მიულოცა, თანადგომა აღუთქვა და მათი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა მამუკა ბერიძეს.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.**

# გაიწმინდა ახალციხე - ცხავერი - გოსტიბის საავტომობილო გზა

ახალციხე - ცხავერი - გოსტიბეს საავტომობილო გზა, დიდი რაოდენობით მოსულმა თოვლმა მინამქრა და გადაკეტა, რის გამოც გადაადგილების პრობლემა შეიქმნა.

ამჟამად მიმდინარეობს სოფელ გოსტიბეს ელექტროენერგიის მიმწოდებელი ბოძებისა და სადენების აღდგენითი სამუშაოები, რომელიც მალე დასრულდება. სოფელს 20 წელზე მეტია, სინათლე არა აქვს, გზის გადაკეტვამ კი ხელი შეუშალა ტრანსპორტის გადაადგილებას და სამუშაოების გაგრძელებას.

მდგომარეობის გამოსასწორებლად კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გზის გაწმენდითი სამუშაოები შპს "კასპის კეთილმოწყობა"-ს (დირექტორი ე. გეჯაძე) დაავალა. შპს "კასპის კეთილმოწყობა"-მ გზა თოვლისგან გაათავისუფლა და მოძრაობის აღდგენა შესაძლებელი გახდა.



**მკითხველთა საყურადღებოდ!**

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის მიტანას ხელმომწერთან.

## 2013 წელს კასპში დაიბადა

**შ.პ.ს. "გინიკა+" (კასპის მრავალპროფილიანი კლინიკა)**

* გაგრძელება

მარიამ ქამხაძე (დუშეთი),
დაჩი პატარკაციშვილი (რუსთავი),
რამინა ფირიევი (კასპი),
სალომე ქუჯიაშვილი (მცხეთა),
ანასტასია მუზაევი (კასპი),
რატი მორჩილაძე (კასპი),
ლიკა მთვარელიძე (კასპი),
გიორგი ბეკურიშვილი (კასპი),
რასულ ისმაილ ოღლი (კასპი),
ამირ მამედოვი (კასპი),
გოჩა ზანაძე (თერჯოლა),
საბა ბასილაშვილი (კასპი),
ლიზი კოშორიძე (გორი),
რუსუდან მზარეულაშვილი (გორი),
მარიამ გორგაძე (კასპი),
მარიამ მერებაშვილი (თბილისი),
ოთარ ცქვიტიშვილი (კასპი),
ლიზი ბეროშვილი (თბილისი),
ზაზა ბერიაშვილი (კასპი),
ანი შონია (კასპი),
ბარბარე ღამბარაშვილი (კასპი),
ალექსანდრე პაპუკიშვილი (კასპი),
მარიამ ბუნტური (კასპი),
ბარბარე ხუროშვილი (კასპი),
მარიამ სტოლბოვი (კასპი),
ელიფ ზაჰიდ ოღლი (კასპი),
ლევან პაპიაშვილი (კასპი),
ნათია სოზიაშვილი (კასპი),
ჯონი ჯანაშვილი (ახალგორი),
ოთარ მერებაშვილი (კასპი),
ელენე ყარაშვილი (კასპი),
ისლამ ბაირამოვი (კასპი),
მარიამ ოდიშვილი (კასპი),
ნოდარ ყველაშვილი (კასპი),
გიორგი ფეიქრიშვილი (კასპი),
ალიონა იბრაგიმოვი (კასპი),
მარიამ ფოლადაშვილი (კასპი),
რატი ბარნოვი (კასპი),
ახმედ მუსტაფაევი (კასპი),
ნინო კორაშვილი (თბილისი),
გულნარა ნამაზ კიზი (კასპი),
გიორგი ივანიძე (ქარელი),
ლანა გოგიჩაშვილი (გორი),
ანი ალიფაშა ოღლი (კასპი),
გულშან მეით ოღლი (წალკა),
თამაზ ნინოშვილი (კასპი),
მადონა ამირ ოღლი (კასპი),
მარიამ ახიევი (კასპი),
ბარბარე ბეჟიტაშვილი (კასპი),
იზაბელა ჯარმელიშვილი (კასპი),
თორნიკე ცალუღელაშვილი (კასპი),
ზეინაბ ახჯანოვი (კასპი),
მიშიკო უხურგუნაშვილი (გორი),
გეგა ვარდოშვილი (კასპი),
ნინო ბედოიძე (ვანი),
ნატალი მიხანაშვილი (თბილისი),
სალომე მელაძე (კასპი),
ლიკა გარიევი (მცხეთა),
ალინა ჯაფაროვი (მცხეთა),
მარიამ იასალაშვილი (თბილისი),
სეიდ ალი მამედოვი (თეთრიწყარო),
ანდრია ხუროშვილი (კასპი),
გაგა გუგულაშვილი (კასპი),
იუნის ბაგიროვი (კასპი),
გაბრიელ გაბიდაური (კასპი),
გიორგი ხუბაშვილი (კასპი),
რატი იორდანიძე (კასპი),
კახა აფციაური (გორი),
მარიამ მარქარაშვილი (კასპი),
მადონა ალიევი (კასპი),
ლიზი მერებაშვილი (თბილისი),
მარიამ კილაძე (კასპი),
ავთო ნოზაძე (ხაშური),
გიორგი გორგაძე (ხარაგაული),

* გაგრძელება. დასაწყისი "ახალი განთიადი" №1. 2014 წელი

## სოფელ გორაკაში დამეწყრილი გზა აღდგა

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ გორაკაში, ცენტრალურ გზაზე დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

მიწისქვეშა ნაჟური წყლების მიზეზით გაჩენილმა მეწყერმა, გზა ჩაიტანა და სოფელი გორაკა სოფელ კუდუხაანთკარსა და (ამჟამად რუსების მიერ კონტროლირებად) სოფელ მონასტერს მოწყვიტა. მეწყერმა 6 მეტრამდე ხევი დატოვა და მოსახლეობას ფეხით





დამეწყრილი მონაკვეთის სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 4 954 ლარია, შპს "კასპის კეთილმოწყობა"-მ (დირექტორი ელგუჯა გეჯაძე) ჩაატარა. დამეწყრილ ადგილში ჩალაგდა ბეტონის მილები და ჩაიყარა ხრეში, რის შემდეგაც გზა მოსწორდა. ადგილობრივი მოსახლეობა წლებია მისასვლელი გზის გარეშე იყო დარჩენილი. გზის აღდგენით და მოწესრიგებით მოსახლეობა კმაყოფილია. კასპის

გადაადგილების პრობლემაც შეუქმნა. ორი სოფელი გზის გარეშე დარჩა, ავადმყოფის გადასაყვანად სასწრაფო დახმარების მანქანაც ვერ გადაადგილდებოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გოჩა გოჩიტაშვილმა მიმდინარე სამუშაოები პირადად დაათვალიერა.

## თევდორე მღვდლის მემორიალთან სკვერი მოეწყო

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სოფელ გარიყულაში მდებარე თევდორე მღვდლის მემორიალთან სკვერი მოეწყო. სკვერი შემოიღობა რკინის მოაჯირით და შეიღება, დაიდგა დასასვენებელი სკამები, მოეწყო ფანტანი, მოპირკეთდა გზის სავალი ნაწილი.

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი (კველთელი) საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა. 1609 წელს ოსმალეთმა მიიტაცა სამცხე-საათაბაგო და იმავე წლის ივნისში ახალციხიდან შემოესია საქართველოს. ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბი, რომელიც მცირე ამალით ცხირეთის ციხეში იმყოფებოდა. ოსმალებმა გადაწყვიტეს უმოკლესი გზით ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ. ოსმალებმა გადმოლახეს თრიალეთი, ქართლში შემოსასვლელი გზების მცველი ქართველები ამოხოცეს და მოულოდნელად მოადგნენ მანგლისს.

მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, ოსმალებმა შეიპყრეს ქართველი მღვდელი, სახელად თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღვთისა და ერთგული მეფისა. მამა თევდორეს ოსმალებმა





მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. ოსმალები მიხვდნენ რომ მოტყუვდნენ, შეიპყრეს ხუცესი და თავი მოჰკვეთეს. თევდორეს თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. წმიდა მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

## დასუფთავების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

ქალაქის დასუფთავების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დამატებით, 100 ცალი გალვანიზირებული კონტეინერი შეიძინა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების თანამედროვე ახალი კონტეინერები ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე განთავსდება, ხოლო იქ არსებული კი პერიფერიებში გადაინაცვლებს.

ჩვენი მიზანია, კასპის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის, რაც შეიძლება მეტი და უკეთესი პროექტი განხორციელდეს. 2014 წელსაც ხალხისათვის სასარგებლო მრავალი პროექტია დაგეგმილი - აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ხშირია ურნების გადაბრუნების, მდინარე ლეხურაში გადაგდებისა და დაზიანების სხვა შემთხვევები. თითოეული თანაქალაქელის ვალია გაუფრთხილდეს ქალაქის კეთილმოწყობისათვის ჩატარებულ სამუშაოებს.

გალვანიზირებული კონტეინერებით ქალაქი, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა



შპს "ლუკა ინვესტი"-მ უზრუნველყო, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდანაა შეძენილი.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.**

*მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, საავტორო კროსვორდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.*

**პროგრამაში ორი მუხლით გათვალისწინებულია მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას განსაზღვრული სოციალური დახმარება**

# აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი

## ანუ სოციალური დახმარების გაცემის პროგრამა-წესი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით ბოლო 5 წლის მანძილზე შიდა ქართლის რეგიონში მოსახლეობის "ბუნებრივი მატების" მაჩვენებელი საგანგაშოდ იკლებს.

2009 წელს ბუნებრივი მატების რიცხვი რეგიონის მასშტაბით 1 226-ს შეადგენდა, 2012 წელს ეს ციფრი 493-ია. ბუნებრივი მატება კასპის რაიონში საერთოდ არ არის, პირიქით, კასპის რაიონის სოფლებში "ბუნებრივი კლებაა." რაიონში გარდაცვლილთა და დაბადებულთა სხვაობა "მინუს 49" უდრის.

გვესაუბრება კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, ვეტერანთა საქმეების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი ტარიელ ზეგლარაშვილი.

— კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2012 წლის 21 დეკემბერს დაამტკიცა 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პროგრამა—წესი, რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რგისტრირებული და აგრეთვე კასპის მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებული მოსახლეობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობები, მიმღებთა /ბენეფიციართა/ კატეგორიები, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეები და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობა. სოციალური დახმარება ერთჯერადია — ბენეფიციარი დახმარებას ღებულობს წელიწადში ერთხელ.

სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებისათვის შექმნილია კომისია /თავმჯდომარე ხათუნა თათანაშვილი/, რომელიც კვირაში ერთხელ ატარებს კომისიის სხდომას. სხვათა შორის, სხდომა გახლავთ საჯარო და ბუნებრივია, მას შეიძლება დაესწროს ნებისმიერი დაინტერესებული პირი, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2013 წლის განმავლობაში სამსახურში შემოვიდა 185 წერილი და 525 მოქალაქის განცხადება. მათი განხილვის საფუძველზე 380 მოქალაქეს გაეწია შესაბამისი დახმარება. ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია ონკოლოგიური, საკეისრო ოპერაციებისა და ფიზიოლოგიური მშობიაროების, გადაუდებელი სტაციონარული, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების და სხვა დაავადებათა დაფინანსება.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე ქრონიკული დაავადებების /ეპილეფსია, პარკინსონი, ბრონქიალური ასთმა, ცერებრალური დამბლა/ მქონე მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის. ამ კუთხით გასულ წელს ერთჯერადი დახმარება გაეწია 56 ბენეფიციარს, სულ კი, შარშან გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 6 ათას 273 ლარი...

აღნიშნული სოციალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდი დახ-

"კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები, რომლებსაც მესამე ან მომდევნო შვილი შეეძინებათ, ერთჯერადად მიიღებენ 300 ლარის ოდენობის სოციალურ დახმარებას."



მარების სახით იღებს 100 ლარს. ასეთი სახის დახმარება გასულ წელს 22 ბენეფიციარმა მიიღო, სულ კი, გადარიცხულმა თანხამ 2 200 ლარი შეადგინა.

პროგრამაში ორი მუხლით გათვალისწინებულია მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას განსაზღვრული სოციალური დახმარება. ამდენად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ოჯახებმა, რომელთაც ქორწინების პერიოდში შეეძინათ მესამე და მომდევნო შვილი, ახლადშეძენილ თითოეულ ბავშვზე, ერთჯერადი დახმარების სახით მიიღეს 300 ლარი,



ხოლო იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, თითოეულზე ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ 100 ლარი. გასული წლის განმავლობაში მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება მიიღო 22 ოჯახმა, თანხამ შეადგინა 12 ათას 600 ლარი, საერთო ჯამში მრავალშვილიან ოჯახებზე მუნიციპალიტეტის მიერ დახმარების სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 23 ათას 700 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიიღეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა /9 მაისს/, აგრეთვე, 1991-1993 წლებში იძულებით გადაადგილებულმა ოჯახებმა /სააღდგომო სასაჩუქრე პაკეტები/. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური პროგრამა ითვალისწინებს მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთისა და უნგრეთის ომების მონაწილე და იძულებით გადაადგილებულ გარდაცვლილ პირთა სარიტუალო მომსახურებასაც. ასეთი სახის სოციალური დახმარება მიიღო 40 პიროვნებამ, სულ თანხამ შეადგინა 4000 ლარი.

მინდა იცოდეთ ისიც, რომ პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული (ასი და ასწელს გადაცილებული) ადამიანებისათვის ერთჯერად ფულად დახმარებას. გასულ წელს მაგალითად, ასეთი სახის დახმარება მიიღეს იგოეთში მცხოვრებლებმა: მარიამ ონოფრიშვილმა, ოლია ხაჩირაშვილმა, თამარ მუზაშვილმა, აგრეთვე რკონში მცხოვრებმა მარო სისაურმა და აღაიანელმა ფატიმა შირაზადანოვმა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2013 წლის სოციალური დახმარების პროგრამაში შეტანილია სპეციალური მუხლი სტუდენტებისა და სპორტსმენებისათვის. აღნიშნული მუხლის თანახმად დედმამით ობოლი, მარჩენალდაკარგული მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახიდან აკრედიტებული სასწავლებლის სტუდენტი ერთჯერადი დაფინანსების სახით იღებს 500 ლარს. ასევე ერთჯერადი ფულადი დახმარება ეძლევა სოციალურად დაუცველი ოჯახის 25-წლამდე ასაკის სპორტსმენს, რომელიც არის ეროვნული ნაკრების წევრი ან კანდიდატი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამ სახის სოციალური დახმარება მიიღო 16 პიროვნებამ, გადარიცხული თანხის რაოდენობამ შეადგინა 8000 ლარი.

ჩაიწერა
რუსუდან ხეჩუაშვილმა.

## 2013 წელს კასპში დაიბადა

**შ.პ.ს. "მედალფა" (კასპის სამედიცინო ცენტრი)**

ბარბარე ჭიტაძე, (მეტეხი),
ზურა ქსოვრელი, (კავთისხევი),
ანასტასია ბერიანიძე, (ჩოჩეთი),
საბა თოდაძე, (ქვემო ჭალა),
რუია ნაბიევი, (მიქელწყარო),
ეკატერინე გეჯაძე, (მეტეხი),
ნურ იბრახიმოღლი, (მეტეხი),
ლუკა აბრამიძე, (დოესი),
გიორგი პატარქალაშვილი, (მეტეხი),
გაბრიელ გელიშვილი, (ოკამი),
ელენე ხუციშვილი, (თბილისი),
ნუცა ნადარაშვილი, (ახალქალაქი),
ვახტანგ კელასონია, (ზემო ხანდაკი),
ერეკლე მესროფაშვილი, (კასპი),
მარიამ დარბიაშვილი, (გარიყულა),
სოსო ბეგლარაშვილი, (დოესი),
ანასტასია ბენდელიანი, (თბილისი),
გიორგი შუკაკიძე, (მცხეთა, ძალისი),
მარიამ პაპაშვილი, (თბილისი),
გიორგი ჯანეზაშვილი, (ქვახვრელი),
ნინო სიმონიშვილი, (ნიჩბისი),
მარიამ ჯუმბერიძე, (მარტვილი),
გიგლა ყუბანეიშვილი, (კასპი),
მერაბ პატარქალაშვილი, (მეტეხი),
დავით აზარაშვილი, (მეტეხი),
ანი ბახტაძე, (ხოვლე),
ნიკოლოზ ბოგველი, (ძეგვი),
ნიკოლოზ სუხაშვილი, (თბილისი),
მარიამ მეშველაშვილი, (დუშეთი),
ნიკა ლაბარი, (დოესი),
მარიამ თათარაშვილი, (კასპი),
თანრივერდ ამირხანიოღლი, (ფერმა)
ანდრეა ბაციკაძე, (ახალციხე)
დაჩი ბეგლარაშვილი, (დოესი)
იოსიპ ასანოღლი, (ხიდისყური),
დავით მაისურაძე, (თბილისი),
მიკიშო ჯლანტიაშვილი, (ახალქალაქი),
დიმა ვერნიშვილი, (ოკამი),
თათია აშრალოვი, (კავთისხევი),
ბარბარე ფასიეშვილი, (ახალქალაქი),
ნიკოლოზ ტატიშვილი, (კასპი),
ლაშა შოშიაშვილი, (მიქელწყარო),
სანდრო მელაძე, (ლამისყანა),
ნია იორდანიშვილი, (რუსთავი),
ნიკოლოზ ტურაშვილი, (დოესი),
ანანო გეჯაძე, (მეტეხი),
თემო უხურგუნაშვილი, (დოესი),
ნატალია შაქარაშვილი, (დოესი),
ნიკოლოზ შაქარაშვილი, (დოესი),
ნინი მჭედლიშვილი, (კასპი),
ალი რუსტამოვი, (მიქელწყარო),
მარიამ ჭინჭარაული, (მცხეთა, ძალისი),
ელენე პატარქალაშვილი, (მეტეხი)
ცოტნე შაქარაშვილი (დოესი),
ლიზი დადეშელი (თბილისი),
მარიამ ნოზაძე (თბილისი),
მარიამ პაპიძე (იგოეთი),
დავით ძუკაშვილი (გორი),
გივი მესროფაშვილი (კასპი),
ლალი ხიზანიშვილი (ქვ.გომი),
ელენე ბაისონაშვილი (გორი),
ჯონი მერებაშვილი (კასპი),
ლიზი ყორბესაშვილი (კასპი),
მარიამ ქოქაშვილი (იგოეთი),
ბარბარე ნოზაძე (სამთავისი),
ნიკოლოზ მაისურაძე (ხელვაჩაური),
ანამარია რაზმაძე (ახალგორი, საძეგური),
ნიკოლოზ თათარაშვილი (მეტეხი),
ალექსანდრე კიტრიაშვილი (კასპი),
სალომე ცქვიტიშვილი (აღაიანი),
ონური იბრაგიმოვი (მიქელწყარო),
ლიკა დვალიშვილი (რენე),
ბარბარე თაგვიაშვილი (კასპი),

* გაგრძელება მე-6 გვ.

# უფასო გამოკვლევები

# სკრინინგი

***ხორციელდება ძუძუსა და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი.**
***ვის შეუძლია ისარგებლოს პროგრამით?**
***რატომ არის აუცილებელი ძუძუს კიბოს სკრინინგი?**
***როგორ ტარდება მამოგრაფია?**
***როგორ ხდება მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი?**
***როგორ ჩავერთოთ სკრინინგის პროგრამაში?**

ქალის რეპროდუქციული სისტემის ავთვისებიან სიმსივნეებს შორის პირველ ადგილს ძუძუს კიბო იკავებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში დაავადების მკვეთრი გახშირება შეიმჩნევა. საქართველოში ძუძუს კიბოთი ყოველწლიურად დაახლოებით 1200 ქალი ავადდება.

მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობის მეთოდები წლიდან წლამდე იხვეწება, ძუძუს კიბოთი გარდაცვალების შემთხვევები მაინც მაღალია. ამის მიზეზი უპირატესად ამ დაავადების გვიანდელ სტადიაზე გამოვლენაა, რაც საგრძნობლად ამცირებს მკურნალობის ეფექტურობას.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ძუძუს კიბოს პრევენციის საუკეთესო გზა მოსახლეობის მასობრივი სკრინინგია (სკრეენ – ინგლ. გადარჩევა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, პათოლოგიური პროცესი ადრეულ სტადიაზე იქნეს აღმოჩენილი და ნამკურნალევი.

ძუძუს კიბოს სკრინინგი ფართოდ არის დანერგილი მრავალ ქვეყანაში, სადაც ადრეული გამოვლენის წყალობით აღნიშნული პათოლოგიით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ შესამჩნევად იკლო.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით სკრინინგში მონაწილე ქალებს შორის სარძევე ჯირკვლის კიბოს მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვი 35%-ით შემცირდა.

სკრინინგის რეგიონულ პროგრამას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებით ეროვნული სკრინინგ ცენტრი ახორციელებს კასპში ია ქამხაძის კლინიკის ბაზაზე.. პროგრამა მიზნად ისახავს სარძევე ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის სიმსივნური დაავადებების პრევენციას და ადრეულ სტადიაზე მის გამოვლენას.

კასპში იამზე ქამხაძის კლინიკის ბაზაზე 2011 წლის პირველი მაისიდან ხორციელდება ძუძუსა და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკითხველთა კითხვებს პასუხობს ქალბატონი ია ქამხაძე.

- ქალბატონო ია, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია თქვენს კლინიკაში დაიწყო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი?

- ნამდვილად, ჩვენს კლინიკაში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. ამ პროგრამის ფარგლებში 25-დან 60 წლამდე ქალბატონებს უფასოდ ჩაუტარდებათ შემდეგი გამოკვლევები: **PAP** ტესტი, კოლპოსკოპია (საჭიროების შემთხვევაში).

**PAP** ტესტი საშვილოსნოს ყელის ნაცხის გამოკვლევას გულისხმობს. კოლპოსკოპია კი საშვილოსნოს ყელის მიკროსკოპულ დათვალიერებას. კვლევის ამ მეთოდებით ხდება საშვილოსნოს კიბოს გამომწვევი პათოლოგიური პროცესების აღმოჩენა. ადრეული აღმოჩენისა და მკურნალობის შეეგად კი კიბოს თავიდან აცილება უმთავრესად შესაძლებელია.

- თქვენი კლინიკის ბაზაზე ხორციელდება ძუძუსა და მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგიც.

- ნამდვილად ძალიან სასიხარულოა, რომ სახელმწიფო პროგრამა საშუალებას აძლევს ჩვენს მოსახლეობას უფასოდ ჩაიტარონ ძვირადღირებული და რაც ძალიან მნიშვნელოვანია - ჯანმრთელობისათვის უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სკრინინგის რეგიონულ პროგრამას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებით ეროვნული სკრინინგ ცენტრი ახორციელებს ჩვენს კლინიკასთან პარტნიორობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მიზნად ისახავს სარძევე ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის სიმსივნური დაავადებების პრევენციას და ადრეულ სტადიაზე მის გამოვლენას. თავად ის ფაქტი, რომ ყურადღება გამახვილდა აღნიშნულ დაავადებებზე ძალიან მნიშვნელოვანია და მიანიშნებს თუ როგორი სერიოზული კვლევის შედეგად მოხდა აღნიშნული დაავადებების შერჩევა.

ჩვენს კლინიკაში პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს (თბილისში მცხოვრებთა გარდა). ძუძუს კიბოს სკრინინგი უტარდებათ 40-დან - 70 წლამდე ქალბატონებს; მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი ტარდება 50-დან - 70 წლამდე ასაკის როგორც ქალბატონებში ასევე მამაკაცებში.

ძუძუს კიბოს სკრინინგის პროგრამა ითვალისწინებს გასინჯვას, ორივე სარძევე ჯირკვლის (ორ პროექციაში) მამოგრაფიულ გამოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში ექოსკოპიურ კვლევას.

გამოვლენილ კიბოს შემთხვევებში პაციენტებმა, ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად, მიმართეს სათანადო დაწესებულებებსა და სპეციალისტებს. საქართველოში არსებობს მთელი რიგი ონკოლოგიური კლინიკები, რომლებსაც მაღალპროფესიონალურ დონეზე შეუძლიათ დაავადებების სათანადო მკურნალობა. მკურნალობის პოზიტიურმა შედეგებმა კეთილსაიმედო გახადა მრავალი პაციენტის მდგომარეობა. მამოლოგის კონსულტაციის ჩატარება ჩვენს კლინიკაშიც იქნება შესაძლებელი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კვლევების მაღალი ხარისხი და მასში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების ღონისძიებები. როგორც კლინიკის მენეჯმენტის ჯგუფი, ასევე ეროვნული სკრინინგ ცენტრი და დაავადებათა კონტროლის ცენტრი ხარისხის პერმანენტულ კონტროლს ახორციელებს.

სერტიფიცირებულმა ექიმებმა და ექთნებმა გავიარეთ მრავალი ტრენინგი და სემინარი თბილისში. სწავლება განახორციელეს საქართველოს და ევროპის წამყვანმა სპეციალისტებმა. ჩვენს რაიონშიც ჩავატარეთ საერთაშორისო კონფერენცია, სადაც რაიონში მოღვაწე ექიმებს ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ სკრინინგის მეთოდოლოგიას.

პირადად მე ვიყავი აშშ-ს ნომერ პირველ ჰოსპიტალში - კლივლენდის კლინიკაში, სადაც ჩემი სწავლების ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო კიბოს სკრინინგის უახლესი მიღწევები.

გარდა უშუალო სამედიცინო გამოკვლევებისა, პროგრამის მნიშვნელოვანი მიზანია საზოგადოების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება, პრევენციული ღონისძიებებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისათვის საქართველოში მრავალი ღონისძიება ტარდება. ამ მიზნისათვის ხდება სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო და ბიზნეს სტრუქტურების კონსოლიდაცია. ჩვენი კლინიკის თანამშრომლები ვმონაწილეობთ მარათონებში სიცოცხლის გადასარჩენად და ამით ჩვენი წვლილი შეგვაქვს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებაში.

- ქალბატონო ია, რა პრინციპით ხორციელდება და რატომ არის აუცილებელი ძუძუს კიბოს სკრინინგი?

- ძუძუს კიბოს სკრინინგი მამოგრაფიული კვლევის საშუალებით წარმოებს. სარძევე ჯირკვლის მამოგრაფია გულისხმობს რენტგენოლოგიურ კვლევას, რომლის დროსაც ძუძუს ქსოვილის დასხივება ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხო, მინიმალური დოზით ხდება.

ძუძუს კიბოს სკრინინგი მეტად ხანმოკლე პროცედურაა. მისი საშუალებით შესაძლებელია ავთვისებიანი სიმსივნის გამოვლენა საწყის სტადიაზე, როდესაც სიმსივნის შემჩნევა ან ხელით გასინჯვა შეუძლებელია.

ხაზგასმით მინდა ალვნიშნო, თუ ძუძუს კიბო საწყის სტადიაზე იქნა აღმოჩენილი განკურნება შესაძლებელია.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად პირველ სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს კიბოსგან სრული განკურნება 100-დან 98 შემთხვევაში შესაძლებელია.

- როგორ მოვემზადოთ, როგორ ტარდება მამოგრაფია, ეს მტკივნეული პროცესია?

- ძუძუს კიბოს სკრინინგისათვის განსაკუთრებული მომზადება არ არის საჭირო, მხოლოდ გამოკვლევის დღეს შხაპის შემდეგ არ გამოიყენოთ კოსმეტიკური საშუალებები: კრემი, პუდრი, დეოდორანტი. ძუძუს გამოკვლევის ჩატარება რეკომენდებულია მენსტრუალური ციკლის დაწყებიდან მე-7-14 დღეს.

მამოგრაფია ტარდება შიშველ მკერდზე, რომელიც კვლევის დროს რამდენიმე წამით მოექცევა სპეციალური აპარატურის ქვეშ. პროცედურა ნამდვილად არ არის მტკივნეული. მას თან სდევს უმნიშვნელო დისკომფორტი, ამ შეგრძნებას ქალები ხშირად არტერიული წნევის გაზომვას ადარებენ.

- როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომ არ გამოეპაროს ძუძუს კიბო, ალბათ, გარკვეული ცვლილებები ზრდის რისკის ფაქტორს, როდის უნდა მივმართოთ ექიმს?

- ძუძუს კიბო რომ არ გამოეპაროს ქალბატონს, პროფილაქტიკური გასინჯვისათვის 18-35 წლის ასაკში (3 წელიწადში ერთხელ) რეგულარულად უნდა ჩაიტაროს მამოლოგიური კვლევა. თუ 40 წელს უკვე გადააბიჯეთ, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაიტაროთ ძუძუს კიბოს სკრინინგი.

უთუოდ უნდა მიმართოთ სპეციალისტს თუ აღმოაჩენთ სიმსივნურ წარმონაქმნს ძუძუში ან იღლიის ფოსოში, თუ აღმოაჩენთ ძუძუს კანის სიწითლეს ან სიმხურვალეს, ძუძუს კანის შეჭმუხვნას, დვრილის ჩაბრუნებას ან დვრილიდან სისხლიან ან სხვა სახის გამონადენს.

- ქალბატონო ია, მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი როგორ ხდება?

- მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი ითვალისწინებს შემდეგ პროცედურას - ადამიანს ეძლევა სპეციალური ტესტერი, რომელიც მოაქვს კლინიკაში. აქ ხდება ანალიზის ჩატარება, ვინც მოხვდება რისკ-ჯგუფში ჩაუტარდებათ კოლონოსკოპიური გამოკვლევა. თუ საჭირო იქნება დაავადების ზონიდან მასალის აღება, ეს მასალა იქნება აღებული და გაგზავნილი თბილისში ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევისათვის დიაგნოზის საბოლოო დაზუსტების მიზნით.

- ქალბატონო ია, გამოკვლევაზე მოსულ ადამიანს რა საბუთები სჭირდება თქვენთან წარმოსადგენად და შეიძლება თუ არა წინასწარ ჩაწერა?

— გამოკვლევაზე მოსულ ადამიანს სჭირდება მხოლოდ პირადობის მოწმობა. და, კიდევ ერთხელ, უნდა აღინიშნოს, რომ სკრინინგის ზემოთ აღნიშნული ყველა პროგრამა არის უფასო. გამოკვლევები კლინიკაში ხორციელდება ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა და სახელმწიფო უქმე დღეებისა 10 საათიდან 16 საათამდე, ხოლო საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 13,30-დან — 17 საათამდე.

— თქვენთან მარტო კასპის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს შეუძლიათ სკრინინგის ჩატარება?

— ზემოთ აღნიშნული პროგრამით ია ქამხაძის კლინიკაში გამოკვლევა შეიძლება ჩაიტაროს საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებმა მოქალაქემ, გარდა თბილისის მაცხოვრებლებისა. თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს ემსახურება ეროვნული სკრინინგ ცენტრი თბილისში.

— როგორ ჩავერთოთ სკრინინგის პროგრამაში?

— კლინიკაში მოსვლამდე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 252 334.

# პათეტიკური და დამღლელი ერთად ყოფნის სიხარული

იესო ქრისტე ბრძანებდა, თუკი სამი კაცი შეიკრიბება ჩემი სახელით, მეც მათთან ვარო. ადრექრისტიანული ხანიდან ქართველთა "პურობად სხდომა" უფლის, ანუ სიყვარულის სახელით იმართებოდა.

რადგან საქართველოში ღვინისა და, ამასთან, ნადიმის ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ამიტომ, სუფრის ფორმისა და შინაარსის ორიგინალობა ქართველთა ცნობიერებისა და ფსიქიკური წყობისათვის ნიშანდობლივ თვისებებს წარმოაჩენს. ალბათ, ამიტომაა დღემდე საინტერესო და სიცოცხლისუნარიანი ეს რამდენადმე პათეტიკური და დამღლელი ტრადიცია.

ადამიანთა ამგვარი თავყრილობა რელაქსაციისა და გახსნილობის, მომაბეზრებელი ყოველდღიურობისაგან გაქცევისა და თვითგამჟღავნების საუკეთესო საშუალებაა. ეს გახლავთ ადგილი, სადაც შინაურები თუ უცხოები ერთმანეთს ლოცავენ და აქებენ, ფილოსოფიურ აზრებს აფრქვევენ, მჭევრმეტყველებითა და ხუმრობით თავს იწონებენ.

პათოსი ქართული სუფრის უპირველესი სულისკვეთებაა. პათეტიკურად რომანტიული განწყობილება, რომელსაც მოქეიფენი უპირობოდ ემორჩილებიან, ავლენს მისწრაფებას ამაღლებული გრძნობების კოლექტიური თანაგანცდისაკენ. ჰეროიზმი, რასაც ქართველები ღვინის სმის დროს იჩენენ, ამ განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებს და ნადიმი განუმეორებელი ექსტაზის დონემდე აჰყავს.

XX საუკუნის ევროპელთათვის კარგად ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ქართველთა ლხინში დიონისურ, ბაკხანალიურ საწყისს ეძებს და ექსტაზის ასეთ მაქსიმალურ გამოვლინებას ხორციელ სიამოვნებებს ადარებს. ისე კი, ერთად ყოფნის სიხარულისა და სიყვარულის ასეთ სიმაღლეს გუნდური ურთიერთობის სხვა ფორმაში ძნელად თუ ვიპოვნით; და,თუ ამ პროცესში თავად არ მონაწილეობ, გარედან მჭვრეტელისათვის მთელი ეს რიტუალი ზოგჯერ ირონიული დამოკიდებულების აღმძვრელიც კია.

ქართველები სულ ევროპასა და აზიას, დასავლურსა და აღმოსავლურ მისწრაფებებს შორის ირყეოდნენ. ქართულ სუფრაზე ეს ორი საწყისი თანაბრადაა გამოხატული.

რაციონალური ფორმა — დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზეა დამყარებული. მას შემდეგ,რაც მასპინძელი უფლის სადიდებელს იტყვის და მისგან შეწევნას ითხოვს, გრძელ ან მრგვალ მაგიდასთან შეკრებილი ადამიანები ირჩევენ ერთ ლიდერს და ადღეგრძელებენ მას, ვინც ნადიმი უნდა წარმართოს და ვისაც თამადას უწოდებენ. მის გონიერებასა და გამჭრიახობაზე, არტისტიზმსა და განათლებაზეა დამოკიდებული, რამდენად სასიამოვნო და წარმატებული იქნება სუფრა––ადგილი, რომელიც თამადამ თეატრად უნდა აქციოს, სადაც უნდა გამართოს წარმოდგენა, მაგრამ არამცდაარამც––მონოსპექტაკლი. მართალია, თამადა ამ დადგმის რეჟისორიცაა და მთავარი როლის შემსრულებელიც, მან უნდა შეძლოს და წარმოაჩინოს სუფრასთან მჯდომი ყოველი ადამიანი, მისი საუკეთესო თვისებებითა და შესაძლებლობებით.

სხვადასხვა კუთხეში სადღეგრძელოების გარკვეული თანმიმდევრობაა დამკვიდრებული. მაგალითად, გურიაში პირველად მშვიდობის სადღეგრძელო ისმება. მთიან მხარეებში––ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, ხევსა და მთიულეთში, სადაც უფრო მეტად ლუდითა და არყით მოილხენენ, ხატის ანგელოზს, კუთხის მფარველ წმინდანს შესთხოვენ შეწეობას. მთელ საქართველოში პირველ ექვს-შვიდ სადღეგრძელოში თამადა მშობლებს, დედ-მამისშვილებს, მეგობრებ-



სა და ახლო ნათესავებს, სამშობლოს დალოცავს, გარდაცვლილებს მოიხსენიებს. მოქეიფენი სათითაოდ წარმოთქვამენ სიტყვებს აწეული სავსე ჭიქით ხელში. ყველა მათგანი ცდილობს იყოს გამორჩეული, გონიერი და ამოდ მოუბარი. სადღეგრძელოების თანმიმდევრობის იმპროვიზაცია თამადის ნება-სურვილზეა დამოკიდებული და დოგმას არ ექვემდებარება. თუმცა არის ის, რაც ქართულ სუფრაზე აუცილებლად უნდა წარმოითქვას. მათ შორისაა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემწეობისა, რასაც ნადიმის დასასრულს იტყვიან.

საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა კუთხის ად-



ამიანთა ბუნება და მსოფლმხედველობა შესაძლოა, უფრო მეტად არაერთგვაროვანი ჩანდეს, ვიდრე რომელიმე ორი ევროპული ერისა. რამდენადმე განსხვავებული ჰავა, ლანდშაფტი, ნიადაგის ფერი და ადამიანთა ხასიათის მრავალსახოვნება... თუმცა, სტუმარი ყველგან ერთ-ერთი უმაღლესი და შეუბღალავი ფასეულობაა, მის მიმართ დამოკიდებულებას არაერთგვაროვნად ამჟღავნებენ. აღმოსავლელები–კახელები და ქართლელები, სუფრასთანაც ისეთივე დინჯნი და ზომიერნი არიან, როგორც ყოფაში, სითბოსა და ემოციების გამოხატვისას ფრიად თავშეკავებულნი. თვალშისაცემია პატივისა და საჭმლის შეთავაზების ძალზე უცერემონიო, დასავლელი ქართველისათვის მიუღებელი ფორმა. ქართლელსა და კახელს საჭიროდ არ მიაჩნია სტუმართან იმ სიყვარულის გამოვლინება, რასაც განიცდის. ამას მხოლოდ სადღეგრძელოს წარმოთქმისას ახერხებს, ისიც–– ნაწილობრივ. თუმცა, მათ სუფრაზე ყოველთვის არნახული და არასაჭირო გასტრონომიული სიუხვეა და განსაკუთრებით პოპულარულია შედარებით მარტივი რეცეპტებით მომზადებული ხორციანი კერძები. რადგან კახური ღვინო ძალიან ძლიერმომქმედი, როგორც თავად უწოდებენ, მაგარია, აღმოსავლეთში თამადა ცდილობს სადღეგრძელოები დროში განავრცოს, სტუმრებს თრობა სწრაფად რომ არ მოერიოთ. შავ ღვინოს ხანგრძლივ სუფრაზე იშვიათად მიირთმევენ. ნადიმისას უფრო თეთრი ღვინო ისმება, რომელიც ძალზე მძიმე და გემრიელია. მას ბოლოში გამორჩეული, ოდნავ მწკლარტე გემო დაჰკრავს. აღმოსავლური მსუყე საჭმელი ამ ღვინის მათრობელა ზემოქმედებას ანელებს. თამადა ცდილობს, დრო, სადღეგრძელოებს შორის, სიმღერებით შეავსოს. არსებობს მოსაზრება, რომ რთულ მრავალხმიან სიმღერაზე ყურადღების კონცენტრაცია მოქეიფე-შემსრულებლებს ხელს უწყობს, თრობისაგან გამოფხიზლდნენ. საერთოდ, სუფრაზე მომღერლების ყოფნა მთელ საქართველოში ჩვეულებრივი ამბავია. იმპროვიზაციულად შეხმიანებული უცხო ადამიანებიც კი ასრულებენ როგორც ხალხურ პოლიფონიურ, ასევე ქალაქურ სიმღერებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ნადიმის დროს (მაგ. ქორწილი, ნიშნობა, იუბილე და სხვ.) მასპინძელი გამორჩეულ მომღერლებს და მოცეკვავეებს ეპატიჟება, რათა ქეიფი დაამშვენოს და სტუმრებს თავი მოაწონოს. ამიტომ, ქართული სუფრა ზოგჯერ სპექტაკლ-მიუზიკლს წააგავს, სადაც მასპინძელი პროდიუსერია.

დასავლელი ქართველის მასპინძლობა სითბოსა და სიყვარულის ამოფრქვევის გაბმული სეანსია. იმერეთსა და სამეგრელოში, სუფრასთან, თავი შეიძლება სამყაროს ცენტრად გაგრძნობინონ.

* გაგრძელება მომდევნო ნომერში.

## 2013 წელს კასპში დაიბადა

**შ.პ.ს. "მედალფა" (კასპის სამედიცინო ცენტრი)**

* გაგრძელება

ბარბარე მარდალეიშვილი (კასპი),
ზაზა ლელაშვილი (ხოვლე),
დავით ხუბულოვი (თვაურები),
ალექსანდრე სუხაშვილი (კასპი),
გუგა მამულაშვილი (კასპი),
კატო მესხია (კასპი),
ილია უხურგუნაშვილი (დოესი),
გივი ჭარხალაშვილი (კასპი),
გელა ალაპიშვილი (მეტეხი),
ბარბარე კაჭიური (კასპი),
საბა ნავროზაშვილი (კასპი),
ელენე თაბორიძე (კასპი),
საბა გეჯაძე (მეტეხი),
სოსო ვახტანგიშვილი (ერთაწმინდა),
დავით ღვინიაშვილი (კასპი),
ავთანდილ ყეინაშვილი (დოესი),
უსეინ ბაირამოვი (ხიდისყური),
ნინო კაველიძე (კასპი),
ზურა გოგშელიძე (კასპი),
ნიკოლოზ ბექაური (კასპი),
ლუკა ხიზანიშვილი (კასპი),
ზურა ჯავახი (დოესი),
ლუკა ილურიძე (კასპი),
ნუკი ნათაძე (კასპი),
ნოდიკო სოზიაშვილი (ახალციხე),
გივიკო თეზიაშვილი (კასპი),
ანასტასია ხვედელიძე, (თბილისი),
ბარბარე შოთაშვილი (გამდლისწყარო),
იოსებ იაძე (გარიყულა),
ნიკოლოზ გალუსტაშვილი (ხოვლე),
ნიკუშა გაბრიელიძე (კასპი),
გიორგი ბერიაშვილი (კასპი),
გაბრიელ ნატროშვილი (თბილისი),
ელენე და ბარბარე ჯინიყაშვილები, ტყუპები (ახალქალაქი),
ნიკოლოზ აბულაძე (კავთისხევი),
ბარბარე ბაღდავაძე (კასპი),
ანასტასია ნასყიდაშვილი (კასპი),
გიგა მარღიშვილი (ფერმა),
შალვა ზალოშვილი (მრგვალი ჭალა),
ლაშა-გიორგი ტაბატაძე (კასპი),
თიკო ჩადუნელი-ილურიძე (კასპი),
ილია მაკიევი (ქვემო ჭალა),
მარიამ ყაზარაშვილი (ბარნაბიანთკარი),
თიკა ჯავახიშვილი (კასპი),
ნიკოლოზ ბერიაშვილი (სიონი, ყაზბეგის რაიონი),
ბარბარე ვერულაშვილი (ახალციხე),
ანასტასია კალანდაძე (ბახვი, ოზურგეთის რაიონი),
თამარ ალავერდაშვილი (ნიჩბისი),
ანდრეა შეშაბერიძე (თვალადი),
მაიკო გოგიბერიძე (ქვემო გომი),
ნინო როსტიაშვილი (თბილისი),
ლიზი ხანოიანი (კასპი),
თამაზ ნავროზაშვილი (კასპი),
ნუციკო ბეგლარაშვილი (დოესი),
მარიამ დუმბაძე (კასპი),
გუგა ნატროშვილი (კავთისხევი),
ლუკა ჯავახიშვილი (თეზი),
ომერ ჯომგიროვი (მცხეთა),
გაბრიელ წიკლაური (კასპი),
ოთარ კალატოზიშვილი (მეტეხი),
ნათია აზმაიფარაშვილი (მეტეხი),
თამარ დურული (ქვემო ხანდაკი),
ანა ილურიძე (ოკამი),
შოთიკო ბახტაძე (მეტეხი),
ელენე აბუსელიძე (კასპი),
ბარბარე კვესიაშვილი (კავთისხევი),
ლევან ბედოშვილი (ქვემო გომი),
ალეკო ნოქარაშვილი (ქარელი,),
ბარბარე ილურიძე (ოკამი),
ნინო ოდიშვილი (მეტეხი),

* გაგრძელება მომდევნო ნომერში.

# წინ საქართველოს პირველობაა





ამ რამდენიმე დღის წინ ქალაქ გორში ჩატარდა რეგიონული პირველობა ჭიდაობა ძიუდოში 1998-1999 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. რეგიონის (გორი, ქარელი, ხაშური) სპორტსმენთა შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ კასპელი ძიუდოისტები, ლავრენტი კაციაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის წარმომადგენლები, სულ კი, კასპიდან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 14 მოჭიდავე.

—დაძაბული, მაგრამ ძალიან საინტერესო ასპარეზობის მონაწილენი გავხდით, — გვესაუბრება კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — ავიღეთ ერთი პირველი და ორი მეორე ადგილი, თუმცა, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ უფრო მეტ შედეგებს ველოდით, ვინაიდან ჩვენი ძიუდოისტები სერიოზულად ემზადებოდნენ ამ შეხვედრისთვის და ბევრ მათგანზე ვამყარებდით იმედს, მაგალითისათვის, გეტყვით, რომ ძმები ოთარ და გიორგი გაბინაშვილები ნამდვილად უნდა მოხვედრილიყვნენ პრიზიორთა შორის, მაგრამ როგორც ამბობენ ხოლმე, სპორტულმა ფორტუნამ არ გაუმართლა ბიჭებს და ამჯერად, ისინი გამარჯვების მიღმა დარჩნენ.

რეგიონული პირველობის პრიზიორები გახდნენ: პაატა მალაციძე (პირველი ადგილი, 50 კგ.წონითი კატეგორია), ჯაბა პაპინაშვილი (მეორე ადგილი, 46კგ.წონ.), მიშიკო გეჯაძე (66კგ. წონ).

როგორც უკვე ცხადი გახდა, მიმდინარე წლის პირველ თებერვალს გორში გამართულ საქართველოს პირველობაზე კასპიდან სამი ძიუდოისტი პაატა მალაციძე, ჯაბა პაპინაშვილი და მიშიკო გეჯაძე გამოვლენ ტატამზე. ძიუდოისტთა მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი სიამაყით იმასაც აცხადებს, რომ რეგიონულ პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილზე გასული მიშიკო გეჯაძე მათთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო, რადგან მისთვის ეს იყო პირველი სპორტული ნათლობა, დღემდე მას არსად არ უასპარეზია და მეორე საპრიზო ადგილის მოპოვება მისთვის ნამდვილად კარგის დასაწყისია.

ამდენად, როგორც უკვე ითქვა, პირველ თებერვალს გორში საქართველოს პირველობა გაიმართება და იმედია, ჩვენი ძიუდოისტები წარმატებით იასპარეზებენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

# წესები, რომლებიც გარდუვალ საჭიროებად იქცა

რესპექტაბელურობისაკენ სწრაფვა ადამიანთა ყოფის განუყოფელი ნაწილია. მაღალი საზოგადოების მიღებებსა და საქმიან შეხვედრებზე საჭიროა შესაბამისად ვიქცეოდეთ და გარკვეული წესის მიხედვით გვეცვას, რათა გარშემომყოფთა პატივისცემა დავიმსახუროთ. ადამიანთა ნაწილი ყოველივე ამას სნობიზმად თუ კონსერვატიზმად აღიქვამს, მაგრამ ამ წესების გარეშე დღევანდელ სამყაროში არსებობა თითქმის შეუძლებელია. მოწვევას, რომელსაც შეხვედრების მასპინძლები ან ორგანიზატორები გვიგზავნიან, თან უმეტესად თან ახლავს მითითება, თუ რა სურვილები აქვთ ან როგორ მოთხოვნებს უყენებენ ისინი სტუმარს ჩაცმულობის კონკრეტული სტილის თაობაზე.

## Dress Code

თავად ტერმინი დიდ ბრიტანეთში დაიბადა და ჩაცმულობის კოდექსს ნიშნავს. ყოველი ჩვენთაგანისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს dress code – ის ძირითად ნიშნებსა და შემოკლებულ სახელდებებს, რომლებიც აუცილებლად გვჭირდება, რათა საზოგადოების გარკვეულ წრეებში ყოფნისას უხერხულობა და გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ.

თქვენ მეჯლისზე, მიღებაზე ან პრეზენტაციაზე მიბრძანდებით და მოსაწვევზე შენიშნეთ გაუგებარი, თითქოს საიდუმლო აბრევიატურა, მაგალითად

**White Tie, *A5, Black Tie.***

ამის გაგება მხოლოდ მცოდნე ადამიანს შეუძლია.

თუ ადამიანი ოფიციალურ დღესასწაულზე აპირებს დასწრებას, ეტიკეტის ცოდნის გარეშე სასაცილო მდგომარეობაში ყოფნა მოუწევს. შესაძლოა, თქვენ მკაცრი face control-ის მქონე დახურულ ღამის კლუბში მიბრძანდებოდეთ, ან ნახევრადოფიციალურ ვახშამზე რესტორანში მიგიპატიჟონ,ანდა, საქველმოქმედო საღამოსა თუ საელჩოში გამართულ მიღებაზე მოგიწიოთ წასვლა — ყველგან სურთ ან ითხოვენ, რომ სტუმარი წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით იყოს გამოწყობილი. პირობითი ნიშნების საშუალებით გამოხატულ მოთხოვნებს ამა თუ იმ სტილის შესახებ, თავადვე გატყობინებენ. არსებობს უკვე დამკვიდრებული უმთავრესი მითითებები, რომელთა გაცნობასაც შემოგთავაზებთ.

საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული კოსტიუმი (ფრაკი და სმოკინგი), რომელმაც დროისა და ტრადიციების ცვლათა გამოცდას




გაუძლო, მხოლოდ გამორჩეულად სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის არის განკუთვნილი. მაგალითად, ფრაკს იცვამენ ევროპის რომელიმე მონარქიული სახელმწიფოს სამეფო მეჯლისზე, ოფიციალურ მიღებაზე საელჩოში, "ოსკარისა" და "ნიკას" დაჯილდოების ცერემონიალებზე და ა. შ. სმოკინგის არეალი უფრო დიდია. ის შესაძლოა გამოგადგეთ ნებისმიერ ოფიციალურ შეხვედრაზე, მეჯლისზეც, პრეზენტაციაზეც. თუ უცხოეთში ყოფნისას მოულოდნელად მიიღებთ მოწვევას, სადაც თქვენგან ისეთ ჩაცმულობას ითხოვენ, რომელიც თან არ გაქვთ, მიმართეთ სასტუმროს პერსონალს.



ისინი შემოგთავაზებენ საყოველთაოდ მიღებული ტანსაცმლის გამქირავებელი შესაბამისი ფირმის მომსახურეობას. რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში გავრცელებული **dress-code** –ის მრავალფეროვნება გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე—დასავლეთში.

უპირველესად, ყურადღება მიაქციეთ ნიშნებს, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციასა და მითითებებს შეიცავს, ვიდრე ჩაცმულობაა. მათ შორის, ხშირად შეგხვდებათ:

**S.t. (sine tempore )** ლათინურად ზუსტ დროს ნიშნავს, და მიგითითებთ, რომ ღონისძიებაზე აუცილებლად დაგვიანების გარეშე უნდა გამოცხადდეთ.

**C.t. (cum tempore)** – ასეთი აბრევიატურის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გადააცილოთ დათქმულ დროს მხოლოდ თხუთმეტი წუთით; ამას აკადემიურ დაგვიანებას ეძახიან.

**R.S.V P(Réponse S'il Vous Plait)** ფრანგულად ნიშნავს მასპინძლის თხოვნას, უპასუხოთ მიპატიჟებაზე.

ამ პირობების, განსაკუთრებით, მესამე მათგანის გაუთვალიწინებლობა მაღალი საზოგადოების წესების ყველაზე უხეშ დარღვევად ითვლება. სადაც არ უნდა დაგპატიჟონ, მიღებაზე, პრეზენტაციასა თუ დღესასწაულზე, უპირველეს ყოვლისა დაურეკეთ მასპინძელს ან წერილობით შეატყობინეთ პასუხი, რომელიც მან შეხვედრის, ზეიმის ან ვახშმის წინა დღეს უნდა მიიღოს.

თუ მოსაწვევზე მითითებული არ არის, რომ იგი ორი ადამიანისათვისაა განკუთვნილი, მაშინ მიპატიჟებას მარტო უნდა გამოეხმაუროთ და ღონისძიებაზეც მეუღლის გარეშე გამოცხადდეთ. გამონაკლისი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თქვენი ბიზნესის მონაწილეა და საქმიან შეხვედრაზე მიბრძანდებით. ურღვევი წესია, რომ საპირისპირო სქესის ახლობელი ადამიანი თან უნდა გახლდეთ, როცა ვახშამზე, კონცერტზე, საქველმოქმედო საღამოსა და მეჯლისზე მიგიწვევენ.

საქმიანი ეტიკეტი უფრო მდგრადია, რადგან კლასობრივი შეზღუდვები არ ახლავს. კლასიკური კოსტიუმი ერთგვარი "სამუშაო უნიფორმაა", რომელიც იმას ემსახურება, რომ ადამიანებმა მოხერხებულად და მობილიზებულად იგრძნონ თავი. თუმცა, უკანასკნელ ხანებში საზოგადოებას სულ უფრო მეტად მოსწონს იმ ტაბუსა და წესების დარღვევა, რომელიც საქმიან ეტიკეტს უკავშირდება...

* გაგრძელება იქნება

## გილოცავთ!

### დაიბადა კასპში 2014 წლის პირველ იანვარს

2014 წელს შ.პ.ს. "მედალფა"-ში (კასპის სამედიცინო ცენტრი) პირველი ბავშვი, პირველ იანვარს, დღის პირველ საათზე დაიბადა. ახალგორელ ლევან ზარიძეს და სოფიკო ბერიანიძეს შეეძინათ ქალიშვილი ბარბარე ზარიძე.

### 2013 წელს კასპში დაიბადა

შ.პ.ს. "გინიკა+" (კასპის მრავალპროფილიანი კლინიკა)

* დასასრული

თათია დილიმაშვილი (რუსთავი),
მედინე ჰაბივ ოღლი (მცხეთა),
ანა ნიკოლაიშვილი (კასპი),
ნათია ხოსებაშვილი (კასპი),
სალომე ბერიძე (კასპი),
ელენე გეჯაძე (კასპი),
ქეთი ონიაშვილი (თერჯოლა),
ნიკოლოზ ბუთხუზი (მცხეთა),
მარიამ გორგაძე (კასპი),
მაია ჯაბანაშვილი (გორი),
ნოდარ ამირეზაშვილი (კასპი),
ალინა ყურბან ოღლი (ბოლნისი),
მარიამ ნაცვლიშვილი (გორი),
მარიამ გაბაევი (ქარელი),
ლიზი ახლოური (კასპი),
ემზარ შარიფოვი, (კასპი),
ლიზა წიკლაური (კასპი),
თემურ კახიანი (კასპი),
რატი ქიმერიძე (ახალციხე),
დიანა სოინგულ ოღლი (მარნეული).

* დასასრული. დასაწყისი იხ "ახალი განთიადი № 1,2014 წელი



### გამოგვიხმაურეთ!

„ახალი განთიადი„ ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად.
თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში!
გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!







„ახალი განთიადი„ სამ თვეში ერთხელ რუბრიკით –„პირველად„ დაბეჭდავს შემოქმედი ახალგაზრდების საინტერესო ნამუშევრებს. (უნდა წარმოადგინოთ ნაშრომის ელექტრონული ვერსია.)

გაზეთი „ახალი განთიადი„ თანაუგრძნობს კასპის ბიბლიოთეკის დირექტორს თეა ბარნაბიშვილს მამის გოგლა ბარნაბიშვილის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ კასპის ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბიბლიოთეკის დირექტორს თეა ბარნაბიშვილს მამის გოგლა ბარნაბიშვილის გარდაცვალების გამო.

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?
გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ექსპერტების მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! ან დაგვირეკეთ 22 25 76

## გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76